პროექტი 01.06.2022

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2022 წლის ივნისი ქ. თბილისი

მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის

დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა და დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს .....??? .

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესი

მუხლი 1.

1. „მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის“ (სემდგომში - წესი) მიზანია მეკვერცხული საწარმოს (შემდეგში საწარმო) ავტორიზაცია (განმასხვავებელი ნომრით) რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბაზარზე ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განთავსებული კვერცხის მიკვლევადობა.

2. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2.

ამ წესის მიზნებისათვის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებთან ერთად გამოიყენება ტერმინები, რომელთაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კვერცხმდებელი ქათამი - Gallus gallus-ის სახეობის ქათამი, რომელმაც მიაღწია მომწიფების ვადას და ინახება კვერცხის წარმოებისთვის და არ არის განკუთვნილი სანაშენედ/ინკუბატორისათვის;

ბ) **მეკვერცხული მიმართულების საწარმო** - ადგილი, სადაც ხდება კვერცხმდებელი ქათმის ამ მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნით შენახვა.

მუხლი 3.

1. სააგენტომ უნდა:

ა) შექმნას სისტემა ამ წესის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა საწარმოო ადგილის ავტორიზაციისთვის, მასზე განმასხვავებელი/უნიკალური ნომრის მინიჭებით, ამ წესის დანართი N1-ის „ავტორიზაციისათვის საჭირო ინფორმაცია“ შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ავტორიზაციის რეესტრის შექმნა და განახლება.

2. თითოეული საწარმო, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის შემდეგ სააგენტოს მიაწოდოს ამ წესის დანართი N1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია 2025?? წლის 31 მარტამდე ხოლო სააგენტო თავის მხრივ ვალდებულია მიანჭოს ავტორიზაცია შესაბამისი უნიკალური ნომრით 2025?? წლის 31 მაისამდე.

3. 2025?? წლის პირველი ივნისიდან:

ა) არცერთი საწარმო, რომელმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიაწოდა სააგენტოს დადგენილ ვადაში, დაუშვებელია გააგრძელოს ფუნქციონირება;

ბ) ავტორიზაციის დასრულებამდე და უნიკალური ნომრის მიღებამდე დაუშვებელია ახალი საწარმოს ფუნქციონირება.

5. ავტორიზაციის მონაცემებთან დაკავშირებული ცვლილებები საწარმოს მიერ შეტყობინებული უნდა იქნეს სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ და სააგენტომ ასეთი ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა უზრუნველყოს ავტორიზაციის რეესტრის დაუყოვნებლივ განახლება.

დანართი N1

ავტორიზაციისათვის საჭირო ინფორმაცია

1. ავტორიზაციისთვის საჭირო მონაცემები

თითოეული საწარმოსთვის რეგისტრირებული უნდა იქნეს სულ მცირე შემდეგი მონაცემები:

ა) საწარმოს დასახელება და მისამართი;

ბ) ფიზიკური პირის, რომელიც პასუხისმგებელია კვერცხმდებელ ქათმებზე (შემდგომში - მომვლელი) სახელი და მისამართი;

გ) საწარმოს მფლობელის, თუ იგი განსხვავდება მომვლელისგან,

გ.ა) სახელსა და მისამართს;

გ.ბ) სხვა საწარმოს/საწარმოების სარეგისტრაციო ნომერი(ებ)ი, რომელიც მოიცავს ,,კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოქმედების სფეროს, რომელსაც ფლობს ან მართავს:

გ.ა) მფლობელი;

გ.ბ) მომვლელი.

დ) დამატებითი ინფორმაცია საწარმოს შესახებ, კერძოდ:

დ.ა) მეურნეობის ტიპ(ებ)ი 2.1 პუნქტში მითითებული განმარტებების მიხედვით;

დ.ბ) დაწესებულების მაქსიმალური სიმძლავრე ერთდროულად არსებული ფრინველების რაოდენობით; თუ მეურნეობის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება დამატებით ფრინველების მაქსიმალური რაოდენობა ერთ დროს თითო მეურნეობის მეთოდზე.

2. განმასხვავებელი (უნიკალური) ნომერი

განმასხვავებელი (უნიკალური) ნომერი უნდა შედგებოდეს ციფრისგან, რომელიც მიუთითებს ამ დანართის 2.1 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ მეურნეობის ტიპზე, რასაც მოჰყვება ამ დანართის 2.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ქვეყნის კოდი და სააგენტოს მიერ განსაზღვრული საიდენტიფიკაციო ნომერი.

2.1 კოდი მეურნეობის ტიპისთვის

მეურნეობის ტიპი მითითებული უნდა იყოს შემდეგი კოდით:

ა) ,,ბუნებრივ პირობებში გაზრდილი“ - 1;

ბ) „ჩაკეტილ სივრცეში გაზრდილი” („საფრინველედან”) -2;

გ) გალიაში გაზრდილი - 3;

დ) „ორგანული წარმოება“ (მეურნეობის ტიპი, რომელიც აკმაყოფილებს ბიოწარმოების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს) – 0.

2.2 ქვეყნის კოდი - GE.

2.3 საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერი

2.3.1 სააგენტომ უნდა დანერგოს სისტემა, რათა მიანიჭოს თითოეულ საწარმოს უნიკალური ნომერი, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ წესის გარდა სხვა მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილია საწარმოს იდენტიფიკაცია.

2.3.2 სააგენტოს შეუძლია საიდენტიფიკაციო ნომერს დაამატოს დამატებითი სიმბოლოები საწარმოს განცალკევებულ შენობებში შენახულ ცალკეული გუნდის იდენტიფიკაციისათვის.